პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 172 (4682)

1972 წ. 1 სექტემბერი, პარასკევი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი

# მუდამ ერთგული მოკავშირე

წლევანდელი ახალი სასწავლო წელი ბევრი რამითაა განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ".

„საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და განათლების ორგანოები ღონისძიებას უნდა ზრუნავდნენ მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისთვის. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა გამაჯანსაღებელ მუშაობას არდადეგების პერიოდში, გაფართოვდეს სპორტული სკოლების შრომისა და დასვენების ბანაკები, საექსკურსიო-ტურისტული სადგურები და სპორტული ბაზების ქსელი", — ნათქვამია ამ დადგენილებაში.

დღეს, როცა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი ფიზკულტურული კომპლექსი წარმოადგენს, მთავარი ყურადღება სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისკენაა მიქცეული. ახლა მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ახალ კომპლექსს მთლიანად დაექვემდებაროს როგორც ფიზაღზრდის სასწავლო პროგრამა, ისე კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა. ამ მნიშვნელოვან საკითხზე სულ ახლახან ფართო და სერიოზული მსჯელობა გაიმართა რესპუბლიკის განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე.

ახალი სასწავლო წლის ბევრი პრობლემის გადაჭრაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ფიზაღზრდის მასწავლებელს ენიჭება. სასკოლო ფიზკულტურულ მუშაობას ისიც შეუწყობს ხელს, რომ მისი ორგანიზაციისთვის უშუალო პასუხისმგებელია დირექტორი.

პარტიისა და მთავრობის უკვე ხსენებული დადგენილება დიდ სტიმულს აძლევს პედაგოგს. სისტემატურად ჩატარდება ატესტაციები, რომლის შედეგებით საუკეთესოებს „უფროსი მასწავლებლის" და „მეთოდისტ მასწავლებლის" წოდებანი მიენიჭებათ.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის სრულყოფის საპატიო საქმეს 3 ათასზე მეტი პედაგოგი ემსახურება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სკოლებში პირველ გაკვეთილს კიდევ 190-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი ჩაატარებს.

ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები არასპეციალისტი მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. წლეულს სოფლის რვაწლიან სკოლებში მომუშავე ასეთი მასწავლებლებისთვის ადგილებზე მოეწყო მეთოდური სემინარები. კარგი ნაყოფი გამოიღო ფიზკულტურისა და სპორტის სექციურმა სემინარებმა, რომლებიც ზონების მიხედვით ჩატარდა. ბოლო დროს საგრძნობლად გამოსწორდა მეთოდური ლიტერატურით სკოლების მომარაგების საქმე. საქართველოს განათლების სამინისტრომ გამოსცა ცალკეული კრებულები, აგრეთვე, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დებულებები.

სპორტი და ახალგაზრდობა განუყრელი ცნებებია. ამიტომაცაა, რომ სწორედ ახალგაზრდობაა ის ძირითადი ბირთვი, რომელსაც წარმატებები მოაქვს სპორტის სარბიელზე.

მიიწურა საზაფხულო არდადეგების შინაარსიანი დღეები. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოველწლიურად უფრო მასობრივი და სრულყოფილი ხდება მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების დასვენებისა და გაჯანსაღებისთვის ზრუნვა. წლეულს 116 პროფკავშირულ პიონერულ ბანაკში 87 ათასამდე მოზარდმა გაიკაჟა ჯანმრთელობა. ეს 4 ათასით მეტია შარშანდელზე. ათასობით ბავშვი გაერთიანებული იყო კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბანაკებში. სოხუმში, ბათუმში, ბაკურიანში, საგურამოში, თეთრ წყაროში და საქართველოს ზღვისპირა და მთიანი რაიონების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში დაისვენეს ცალკეული სპორტული საზოგადოებების, უწყებებისა და სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების ნორჩებმა. ზაფხულის ცხელი დღეები სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში გაატარეს აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა.

ახალსახლობა პირველი სექტემბრის ტრადიციული ზეიმია. დღეს ახალი სკოლების გახსნის საზეიმო წუთებში მოსწავლეები სიხარულით შეაღებენ სპორტული დარბაზების კარს. გუშინ სასიხარულო ცნობა შევიტყვეთ. წლევანდელი გეგმით რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 69 ახალი სკოლის შენობა და ყოველი მათგანი სპორტული დარბაზით იქნება დამშვენებული.

ბავშვთა სპორტული სკოლებისთვის კეთილმოწყობილი ბაზების მშენებლობა მთელს რესპუბლიკაში სახალხო საქმედაა გადაქცეული. ამ საქმეში დიდია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დამსახურება. სამინისტრომ განმარტებითი წერილები დაგზავნა ქალაქებსა და რაიონებში სპორტული ბაზების მშენებლობის უკეთ მოწყობის თაობაზე. სამინისტრო ეხმარება თასნებს სამშენებლო ორგანიზაციისა და საჭირო მასალების გამოყოფაში. ამ კარგი წამოწყების შედეგად ადგილობრივი ქარბი სახსრებით მშენებლობები დაიწყო სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გორში, წულუკიძეში, ლანჩხუთში, საჩხერესა და ორჯონიკიძეში. ქუთაისში უკვე მწყობრში ჩადგა ბავშვთა სპორტული კომპლექსის ერთი ობიექტი — 25-მეტრიანი საცურაო აუზი გათბობით, თბილისის ოქტომბრის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა ბავშვთა სპორტსკოლის კეთილმოწყობილი ბაზა.

სტარტზეა ახალი სასწავლო წელი, — იწყება ახალგაზრდების ახალი ლაშქრობა ცოდნის მწვერვალების დასაძლევად. ამ გზაზე მუდამ მათი ერთგული მეგობარი და მოკავშირე იქნება ფიზკულტურა და სპორტი!

## მორიგი ტირაჟი

ყარაგანდა, 30 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 24-ე ტირაჟი. მოგება ხვდა შემდეგ ნომრებს: 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 23 (მძლეოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 35 (სპიდვეი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

# მეოცე პარტია

სპასკი — ფიშერის მატჩის XX პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში:

სპასკი



ფიშერი

როგორც ჩანს, საშინაო ანალიზმა ცხადყო, რომ სპასკის მცირე პოზიციური უპირატესობა საკმარისი არ იყო მოგებისთვის.

პარტია ასე გაგრძელდა: 41. ... მფd6 (ჩაწერილი სვლა) 42. მe3 კg6 43. მფd3 კf7 44. მფc3 მფc6 45. მფd3 მფc5 46. მფe4 მფd6 47. მფd3 კg6+ 48. მფc3 მფc5 49. მd3+ მფd6 50. მe1 მფc6 51. მფd2 მფc5 52. მd3+ მფd6 53. მe1 მe6 54. მფc3 მd4 ყაიმი.

ანგარიში გახდა 11,5:8,5 ფიშერის სასარგებლოდ.

მადრაკი

München-72

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## საბჭოთა მოცურავეები ბრძოლას გამოეთიშნენ

მიუნხენი, 30 აგვისტო. ოლიმპიადის გუშინდელი პროგრამა მოკრივეებმა დაამთავრეს. ბოლოსწინა წყვილში გამოდიოდა ვ. ლემეშევი (75 კგ-მდე), რომელმაც პირველ რაუნდში ნოკაუტით მოუგო ინდონეზიელ ვ. გომისს.

საფარიკაო ბილიკებზე გამოვიდნენ ხმლით მებრძოლები. ვ. სიდიაკმა და ვ. ნაზლიმოვმა მეოთხედფინალის საგზურები მოიპოვეს, მესამე საბჭოთა სპორტსმენმა, გამოცდილმა მოფარიკავემ მ. რაკიტამ კი მხოლოდ ერთი წინასწარი ბრძოლა მოიგო და ტურნირს გამოეთიშა.

4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში საბჭოთა მოცურავეებმა ტ. ზოლოტნიცკაიამ, გ. ტიმოშენკომ, ნ. მატიუხინამ და ი. უსტიმენკომ მხოლოდ მეცხრე შედეგი აჩვენეს (4.07,55) და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშნენ.

100 მ ბატერფლაით ვ. შარიგინმა 58,40 წამში გაცურა (მე-17 შედეგი) და ნახევარფინალის საგზური დაკარგა. ასეთივე ბედი ეწიათ გ. კულიკოვს (59,28) და ვ. კრივცოვს (59,83). 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მ. სუხარევი მეცხრე იყო (4.43,13), ვ. პარტიკა — მეთვრამეტე (4.50,03). ფინალში ვერც ერთი ვერ გავიდა.

საჭიდაო ხალიჩაზე ქულებით გაიმარჯვეს ლ. თედიაშვილმა, გ. სტრახოვმა, ა. ალახვერდიევმა, რ. აშურალიევმა, ზ. აბდულბეკოვმა. წააგო ი. კულემოვმა.

## ტურიშჩევას ოლიმპიური გამარჯვება

დღეს, შებინდებისას, პროგრამის ბევრ სახეობაში გადამწყვეტი სტარტები დაიწყო.

ოლიმპიურ ფიცარნაგზე ორ საათს თავგანწირვით იბრძოლა მსოფლიოს 36 საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალი. პირად მრავალჭიდში ჯილდოების ბედი კი რაღაც სამიოდე წუთში გადაწყდა. ორი ვარჯიშის შემდეგ ლიდერობდა საბჭოთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ო. კორბუტი, მაგრამ თავის ძირითად იარაღზე — ორძელზე, სადაც უნიკალურ მალაყს აკეთებს ხოლმე, ამჯერად კორბუტმა მარტივ ელემენტებში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, 7,5 ქულა მიიღო და წარმატების ყოველგვარი შანსი დაკარგა. იგი იარაღიდან ჩამოსვლისთანავე სკამზე დავარდა და აქვითინდა.

იმავე წამს იქვე გვერდით დგარზე შეხტა ლ. ტურიშჩევა, რომელიც სულ 0,075 ქულით ჩამორჩებოდა კორბუტს. აშკარად ჩანდა, რომ თანაგუნდელის მარცხმა მასზეც იმოქმედა, მაგრამ შეფასება ასეთი სიტუაციისთვის მაინც მაღალი იყო — 9,4 ქულა. მიუხედავად ამისა, 0,05 ქულით წინ აღმოჩნდა ყველაზე საშიში მეტოქე, გდრ-ის წარმომადგენელი კ. იანცი.

რჩებოდა ბოლო შანსი. დარბაზში მხოლოდ ამ ორ ტანმოვარჯიშეს უყურებდა. იანცმა რთული კომბინაცია გააკეთა ორძელზე — 9,7 ქულა. მრავალჭიდის ჯამში მას 76,875 ქულა დაუგროვდა. ახლა ტურიშჩევას თავისუფალ ვარჯიშში 9,8 ქულა მაინც უნდა მიეღო. იგი ხალიჩაზე გამოვიდა და დაიპყრო კიდეც დარბაზი მოქნილი, სწრაფი მოძრაობით. გაისმა ბოლო აკორდი. ელექტროტაბლოზე აინთო ციფრები — 9,9. მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი XX ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონიც გახდა. გუნდური გამარჯვების შემდეგ მოპოვებულია პირადი პირველობაც (77,025 ქულა).

(დასასრული მე-2 გვ.).



## ლევან თედიაშვილმა ოლიმპიური ოქრო მოიხვეჭა!

### ჭიდაობა...

თავისუფალი სტილის თბილისელმა მოჭიდავემ ლევან თედიაშვილმა პირველ საშუალო წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა აგრეთვე საბჭოთა ათლეტი ზაგალავ აბდულბეკოვი (მეორე ქვესაშუალო წონა).

ქვემსუბუქ წონაში იაპონელმა ხიდეკი იანასიდამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ოლიმპიური ოქროს მედალიც დაუმატა. II ადგილზეა რიჩარდ სანდერსი (აშშ), III — ლასლო კლინგა (უნგრეთი). საბჭოთა მოჭიდავე ი. კულემოვი ტურნირს წინასწარი შეხვედრების შემდეგ გამოეთიშა.

მეორე საშუალო წონაში ყველას აჯობა ბენ პეტერსონმა (აშშ). ვერცხლის მედალი სსრ კავშირის წარმომადგენელ გენადი სტრახოვს ხვდა, ბრინჯაოსი კი უნგრელ კაროლი ბაიკოს.

• • •

სურათზე: მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. თედიაშვილი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები




### დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ბოლომდე იბრძოდა თ. ლაზაკოვიჩიც, რომელიც ამ საღამომდე მეოთხე იყო. ჯილდოდ მას ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი ხვდა (76,85). დღეს ლაზაკოვიჩმა უმაღლესი შეფასება მიიღო ყველაზე რთულ იარაღზე — ძელზე (9,75), მაგრამ სათანადო უნდა მიეზღოს კორბუტსაც: დასანანი მარცხის შემდეგ მან კიდევ უფრო მაღალი შეფასება მიიღო — 9,8 ქულა.

მრავალჭიდში ვერცხლის მედალი მოიპოვა იანცმა — 76,875.

## ბრძოლა ყველა მეტოქესთან ძნელია

საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთი ქვეჯგუფის მეორე მატჩში სუდანის ნაკრებს სძლიეს — 2:1 (2:0). ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ოლიმპიურ ტურნირში იოლად გასამკლავებელი მეტოქე არ არსებობს.

42-ე წუთზე ევრიუჟიხინმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. საბჭოთა გუნდმა უფრო აქტიურად დაიწყო თამაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კოლოტოვი. მან რამდენიმეჯერ ზუსტი გადაცემით გაიყვანა წინ ევრიუჟიხინი, იგი კი კარის გასწვრივ ურტყამდა. ერთხელ ზანაზანიანმა ნახტომში თავით გაგზავნა ბურთი ბადეში. ეს მოხდა 44-ე წუთზე.

გოლი, რომელიც სუდანელებმა 69-ე წუთზე გაიტანეს, ძალიან მოულოდნელი იყო. სანამ საბო და კაპლიჩნი ფიქრობდნენ, მათგან ვინ გაუწევდა მეურვეობას მეტოქეთა თავდამსხმელ ნასრელდინს, ამ უკანასკნელმა ბურთი ხელთ იგდო და... რუდაკოვმა კარს ვეღარ უშველა.

## თითქმის ჩემპიონები

კენჭისყრამ 300 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთ სერიაში მოახვედრა თანამედროვე ხუთჭიდში „პირადი" ოქროს მედლის ყველაზე სავარაუდო პრეტენდენტები: სახელგანთქმული უნგრელი ა. ბალცო და მსოფლიო ჩემპიონი ბ. ონიშჩენკო. კიეველის შედეგია 3.38,04, ბალცოსი — 3.46,68. ეს ნიშნავს, რომ ახლა ბალცომ მძლეოსნურ კროსში 28 წამი უნდა ამოიგოს.

ბრძოლის ბოლო დღის წინ ლიდერობს ონიშჩენკო — 4215 ქულა. შემდეგ მოდიან პ. ლედნიოვი (4193), ბალცო და ოლიმპიური ჩემპიონი, შვედი ბ. ფერმი — 4133-4133, ვ. შმელიოვი — 4080.

საბჭოთა გუნდი ფაქტიურად მიუწვდომელია — 12491 ქულა. II ადგილზე არიან უნგრელები, რომელთაც 680 ქულით ნაკლები აქვთ. III ადგილი ფინელებს უკავიათ — 11560.

## მსაჯებს ელექტრონიკა ეხმარება

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ცურვაში გამარჯვების ბედი მხოლოდ თანამედროვე ელექტრული ტექნიკის დახმარებით გადაწყდა. შვედმა გ. ლარსონმა ამერიკელ ტ. მაკის სულ 0,002 წამი მოუგო. თუმცა ოფიციალურ ოქმებში ასეთი მცირე სხვაობა არ აღინიშნება, ეს საკმარისი გამოდგა, რომ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებისთვის თამაშის ორგანიზატორებს ორი ოქროს მედალი არ გაეცათ.

იაპონელმა ნობუტაკა ტაგუჩიმ, რომელმაც გუშინ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, ფინალში ეს მიღწევაც გააუმჯობესა — 1.04,94.

მეორე ოქროს მედალი მიიღო ავსტრალიელმა შეინ გოულდმა. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.19,04.

ამერიკელმა ქალებმა მოიგეს 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა — 3.55,19 (მსოფლიო რეკორდი).

## პირველ მატჩში — ფრე

ქვეჯგუფში პირველი მატჩი გამართეს საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებიც დანიელებს შეხვდნენ. თამაში ფრედ დამთავრდა — 12:12 (6:7).

**ზ. გუხოვცევი, ა. ლევინსონი, ა. სტაროდუბი.**

(საკდესის სპეც. კორ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მრავალჭიდში II ადგილზე გასული ქ. იანცი (გდრ) გამარჯვებას ულოცავს გრონინგენელ ლ. ტურიშჩევას.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).



## მხოლოდ ტელეგრაფული შედეგები...

### 30 აგვისტო

ტრამპლინიდან წყალში ხტომა. ვაჟები.

1. ვლადიმერ ვასინი (სსრ კავშირი) — 594,09 ქულა; 2. ფრანკო კანიოტო (იტალია) — 591,63; 3. კრეიგ ლინკოლნი (აშშ) — 577,29... 6. ვ. სტრახოვი (სსრ კავშირი) — 566,20.

ტანვარჯიში. მრავალჭიდი. ვაჟები.

1. სავაო კატო — 114,65 ქულა; 2. ეიძო კენმოცუ — 114,575; 3. აკინორი ნაკაიამა (სამივე — იაპონია) — 114,325; 4. ნ. ანდრიანოვი — 114,2... 6. ვ. კლიმენკო — 113,075... 12. მ. ვორონინი — 111,525... 16. ვ. შჩუკინი — 110,8... 18. ა. მალეევი — 110,65... 20. ე. მიქაელიანი (ყველა — სსრ კავშირი) — 110,55.

ფარიკაობა. რაპირა. ვაჟები.

1. ვიტოლდ ვოიდა (პოლონეთი) — 5 გამარჯვება; 2. ენე კამუტი (უნგრეთი) — 4; 3. კრისტიან ნოელი (საფრანგეთი) — 2... 5. ვ. დენისოვი (სსრ კავშირი) — 2.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა. სტანდარტი (6×40).

1. ჯონ რაიტერი — 1166 ქულა (მსოფლიო რეკორდი); 2. ლენი ბეშემი (ორივე — აშშ) — 1157; 3. ვერნერ ლიპოლდი (გდრ) — 1153... 5. ვ. აგიშევი — 1152... 11. ვ. პარხიმოვიჩი (ორივე — სსრ კავშირი) — 1144.

საწყლოსნო სლალომი. ერთადგილიანი ბაიდარა. ქალები.

1. ანგელიკა ბაჰმანი (გდრ) — 364,50 საჯარიმო ქულა; 2. გიზელა გროტჰაუსი — 398,15; 3. მაგდალენა ვუნდერლიჰი (ორივე — გფრ) — 400,50.

საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში არ გამოსულან.

საწყლოსნო სლალომი. ორადგილიანი კანოე. ვაჟები.

1. ვალტერ ჰოფმანი, როლფ-დიტერ ამენდი (გდრ) — 310,68 საჯარიმო ქულა; 2. ჰანს-ოტო შუმაჰერი, ვილჰელმ ბაუესი (გფრ) — 311,90; 3. ჟან-ლუი ოლრი, ჟან-კლოდ ოლრი (საფრანგეთი) — 315,10.

საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში არ გამოსულან.

კომპლექსური ცურვა. 400 მ. ვაჟები.

1. გუნარ ლარსონი (შვეცია) — 4.31,981 (ევროპის რეკორდი); 2. ტიმ მაკი (აშშ) — 4.31,983; 3. ანდრაშ ხარგიტაი (უნგრეთი) — 4.32,70.

## გუშინ...

◆ **დამთავრდა** შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. აი, შედეგებიც:

**პირადი ჩათვლა.** 1. ანდრაშ ბალცო (უნგრეთი) — 5412 ქულა; 2. ბ. ონიშჩენკო — 5335; 3. პ. ლედნიოვი — 5328... 5. ვ. შმელიოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 5302.

**გუნდური ჩათვლა.** 1. სსრ კავშირი (ბ. ონიშჩენკო, პ. ლედნიოვი, ვ. შმელიოვი) — 15968 ქულა; 2. უნგრეთი — 15348; 3. ფინეთი — 14812.




ს უ რ ა თ ზ ე: 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში საუკეთესო სამეული საპატიო კვარცხლბეკზე: მარცხნიდან — დ. შენფილდი (აშშ) — ვერცხლის მედალი, ბ. უიტფილდი (ავსტრალია) — ოქროს მედალი, გ. სტეპანოვა (სსრ კავშირი) — ბრინჯაოს მედალი.

საკდესის ტელეფოტო.

# ოლიმპიური მოზაიკა

ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მცირერიცხოვანი გუნდები ზემო ვოლტიდან და გაბონიდან ჩავიდნენ. თითოეულ ნაკრებში მხოლოდ ორი მძლეოსანი შედის.

სპორტსმენები ასპარეზობისას თუ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სულ სხვადასხვანაირად იქცევიან...

ავსტრალიელმა ძალოსანმა გეორგ ვასილიადიმ მაყურებელთა მთელი დარბაზი კარგ გუნებაზე დააყენა: ფიცარნაგის საფეხურებზე ამორბენისას მუშტებს იქნევდა, წვერ-ულვაშს იწიწკნიდა და გააფთრებული ღრიალით შტანგისკენ გარბოდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სიხარულის ცრემლით ტიროდა ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი მოცურავე შეინ გოულდი, რომელსაც ხელში სათამაშო კენგურუ ეკავა:

— ისე მინდოდა, რომ ამ პატარა კენგურუს ჩემთვის გამარჯვება მოეტანა...

გასახდელში სიხარულისგან ატირდა უნგრელი ძალოსანი, „მუდამ მეორე" იმრე ფიოლდი, თუმცა იგი არასოდეს ყოფილა სენტიმენტალური. ალბათ, ოლიმპიურ ჩემპიონს ეს ეპატიება.

მიუნჰენის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ლატარიით ოლიმპიადის საზეიმო გახსნას უფასო ბილეთი მოიგო, მაგრამ სიხარული მალე მწუხარებით შეიცვალა. სტადიონის ტერიტორიაზე ჯიბის ქურდებმა მას ფულით გატენილი ქისა აჰმაცალეს. ამ დროს კი კრიმინალური პოლიციის სპეციალური ჯგუფები ძალლონეს არ იშურებენ ოლიმპიური ბაზების „გაწმენდისთვის" და უკვე აღინიშნეს პირველი წარმატება. როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, დაპატიმრებულია „შვიდი საერთაშორისო მასშტაბის ჯიბის ქურდი".

საორგანიზაციო კომიტეტმა თავისებური საჩუქარი მიიღო განის აფრიკული სპორტის უმაღლესი საბჭოს მდივნისგან. მან 5 თვის ლომის ლეკვი გამოგზავნა.

როცა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და სცენარისტმა, ოლიმპიური ნაკრების წევრმა ვიქტორ აუერმა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა დაამთავრა, ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მართლაც, 598 ქულა 600 შესაძლებლიდან! აუერს შემოესივნენ ფოტოკორესპონდენტები, ჟურნალისტები, კინოოპერატორები.

ცოტა ხნის შემდეგ უკანასკნელად გაისროლა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის წევრმა ლი ხო ჯუნმა და ტაბლოსთან გაჩერდა თავისი შედეგის მოლოდინში. ტაბლო რომ აინთო, ამერიკელს ელდა ეცა — იქ სამი ციფრი კიაფობდა: 599!

ეს იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის პირველი, თანაც, ოქროს მედალი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

დაახლოებით 200 უბილეთო „მაყურებელი" აძვრა საცურაო აუზის პლასტიკატის სახურავზე და რამდენიმე საათის განმავლობაში იქიდან უყურებდა მოცურავეთა შეჯიბრებას. უბილეთოების ეს რაზმი დიდი გაჭირვებით ჩამოიყვანეს თხუთმეტმეტრიანი სიმაღლიდან. მომავალში ასეთი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად ადმინისტრაციამ აუზის სახურავს გაუმჭვირვალე საცხის თხელი ფენა გადაუსვა.

ბაიდარებითა და კანოეებით სლალომში შეჯიბრების ჩასატარებლად მიუნჰენიდან 60 კილომეტრის დაშორებით, აუგსბურგში, 40 ათასი კუბური მეტრი მიწა ამოიღეს. ასე იშვა „მთის" სწრაფი მდინარე, რომელიც ბეტონის კალაპოტში წამში 6 მეტრის სისწრაფით მიექანება. მისი სიგრძე 660 მეტრია. წყლის ეს აბობოქრებული ნაკადი ზოგან ერთ ადგილას ტრიალებს, ზოგან უკანაც კი გარბის. წყლის ტრასაზე აგებული 32 ბეტონის კაჭარი სპორტსმენებისთვის სერიოზული გამოცდაა. მათგან განსაკუთრებით სახიფათოა ორი შუა ტრასაზე. მათ სახელებიც კი შეარქვეს: „მობი დიკი" და „თავი შაქარი". „მობი დიკთან" უკვე 8 ბაიდარა და 5 კანოე დაიმტვრა.

შვეიცარიის გუნდის ხელმძღვანელებმა ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს ესტრადის ვარსკვლავი — მომღერალი პაოლა, რომელმაც, მათი აზრით, გუნდი გამარჯვებისთვის უნდა აღაფრთოვანოს.

ბონის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გფრ-ის მცხოვრებთა 93 პროცენტი „ყოველდღე ოლიმპიური თამაშების მსვლელობაზე ლაპარაკობს". თხუთმეტიდან მხოლოდ ერთი დასავლეთგერმანელი მოქალაქე არ იჩენს ამ შეჯიბრებისადმი არავითარ ინტერესს.

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" ერთ-ერთ თავის ბოლო ნომერში გამოაქვეყნა მძლეოსნური პროგნოზები, რომლებიც ელექტრულ-გამომთვლელი მანქანის დახმარებით სპეციალისტებმა შეადგინეს. ამ წინასწარმეტყველებაში ვ. ბორზოვს I ადგილს აკუთვნებენ 100 მეტრზე ფინალურ გარბენში. მართალია, პროგნოზები საიმედო არ არის, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ ამჯერად ვარაუდი გამართლდება.



## დ ღ ე ს

კალათბურთი (წინასწარი მატჩები).

კრივი (წინასწარი შეჯიბრება. მეორე წრე).

ძიუდო (ქვემძიმე წონა. ფინალი)*.

ველოსპორტი (სპრინტი — წინასწარი სერიები. გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა — ფინალი)*.

ფრენბურთი (წინასწარი მატჩები).

ტანვარჯიში (პირადი პირველობა მრავალჭიდის ცალკეულ იარაღებზე — ვაჟები)*.

აკადემიური ნიჩბოსნობა (მცირე ფინალები).

ცხენოსნური სამჭიდი (წინაღობათა გადალახვა)*.

მძლეოსნობა (წინასწარი შეჯიბრებები. ფინალები: მუხის ტყორცნა — ქალები; 100 მ — ვაჟები)*.

აფროსნობა (მეოთხე რბოლა).

ცურვა (წინასწარი გაცურვები. ფინალები: 100 მ ბატერფლაი, 200 მ თავისუფალი სტილი — ქალები; 400 მ თავისუფალი სტილი — ვაჟები)*.

წყალში ხტომა (წინასწარი შეჯიბრება. კოშკი — ქალები).

წყალბურთი (ფინალური მატჩები).

ხელბურთი (წინასწარი მატჩები).

ტყვიის სროლა („გაქცეული ტახი". მეორე სიჩქარე. პისტოლეტით სწრაფსროლა — მეორე რიგი)*.

სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი — მეორე დღე).

ფარიკაობა (გუნდური შეჯიბრება. ვაჟები. რაპირა. წინასწარი ტურნირი).

ფეხბურთი (წინასწარი მატჩები).

ბალახის ჰოკეი (წინასწარი მატჩები).

გათამაშდება 16 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები




## ჩ ე მ პ ი ო ნ ი ს „ო ქ რ ო ს  ნ ი შ ნ ე ბ ი"

— გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. ამ წარმატებაზე დიდხანს ვოცნებობდი, — თქვა დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა სტუდენტმა ვ. ვასინმა. — ტრამპლინიდან ხტომაში უკვე 14 წელია ვვარჯიშობ. მათგან ბევრმა, ვინც ჩემთან ერთად გამოდიოდა, უკვე დატოვა სარბიელი. მე უპერსპექტივოდაც კი მთვლიდნენ. დღეს მადლობას პირველ ყოვლისა ჩემს მწვრთნელს ტატიანა პეტრუხინას ვუძღვნი.



... 1920 წლიდან ეს პირველად მოხდა, რომ საპატიო კვარცხლბეკზე ამ სახეობაში ამერიკელი სპორტსმენი არ იდგა. ვასინი ტრამპლინიდან წყალში ხტომის მოყვარულებს კიდევ ერთი „ოქროს ნიშნით" ახსოვთ: ნახტომისთვის, რომელსაც ოფიციალურად ჰქვია „ნახტომი 2,5 აუერბახი", მან 75,60 ქულა მიიღო. მსაჯებს ასეთი შეფასება ოლიმპიური თამაშების არც ერთი მონაწილისთვის არ მიუციათ.

ჯილდოებისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. გამარჯვების იმედი 12 ფინალისტიდან ყველას შეიძლება ჰქონოდა. მთავარი სიმშვიდეაო, ამბობს ახლა ვასინი.

თავისი მეცხრე, ფინალში პირველი ნახტომისთვის ვასინმა 65,52 ქულა მიიღო. ამით მან კიდევ შეამცირა სხვაობა II ადგილზე მყოფ ვ. სტრახოვთან. წინ იყო იტალიელი ფ. კანიოტოც. ვასინი საწვრთნელ აუზში გადავიდა, სადაც წყალი უფრო ცივია, და რამდენიმე წუთს იქ იცურა. ბოლო ცდაზე იგი სავსებით დამშვიდებული იყო. კანიოტოს კი მეათე ცდა გაუფუჭდა — სულ 48,70 ქულა მიიღო.

ბოლო ცდის წინ ვასინი უკვე პირველი იყო, შემდეგ კანიოტო მოდიოდა. ვასინი ისევ წავიდა ცივი წყლის გადასავლებად. ბოლო ცდა მან ძალიან ფრთხილად შეასრულა, რათა უპირატესობა არ დაეკარგა.

თავის სამერმისო გეგმებზე 25 წლის მოსკოველი სპორტსმენი მოკლედ ამბობს: „ახლა მთელი ძალა სწავლას უნდა მოვახმარო". ვასინი მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია და წლეულს დიპლომი უნდა დაიცვას. მისი სპეციალობა უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკაა. სხვათა შორის, იგი ოლიმპიურ სოფელში თარჯიშის მოვალეობასაც ასრულებს — ძალიან კარგად იცის ფრანგული.

ვლადიმერი მუშის ოჯახში გაიზარდა, მამამისი მშენებელია. როცა პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა სპორტსმენს ჰკითხეს, ცოლიანი ხართ თუ არაო, მან დარცხვენით გაიღიმა: ჯერჯერობით სწავლისა და სპორტის გარდა დრო არაფრისთვის მრჩებაო.

— პროგრამის აგებისთვის ჩემი პრინციპია სირთულე და დახვეწილობა, — ამბობს ვასინი. — მე და ჩემი მწვრთნელი ტრიუკებს ვერ ვიტანთ. ბოლო წლებში ევროპაში ბევრი კარგი მხტომელი გაჩნდა. ისინი სწრაფად მიიწევენ წინ. ევროპისა და ამერიკის სპორტსმენთა შეხვედრა ჩვენთვის ძალიან სასარგებლო გამოდგა: რწმენა შეგვემატა. კერძოდ, მე დავრწმუნდი, რომ ამერიკელთა დამარცხება სავსებით შესაძლებელია. დღეს მათგან საუკეთესო მხოლოდ III ადგილზეა.

ოლიმპიადაში გამარჯვებამდე ვასინი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი იყო. ევროპის თასის გათამაშებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონობა ხუთჯერ დაისაკუთრა. ოლიმპიური ტურნირის მოგებამ მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაც მოუტანა.

ბ. კუკუშკინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

მიუნჰენი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ტრამპლინიდან წყალში მხტომელ ვაჟთა საპრიზო სამეული (მარცხნიდან) — ფ. კანიოტო (იტალია) — II ადგილი, ვ. ვასინი (სსრ კავშირი) — I ადგილი, კ. ლინკოლნი (აშშ) — III ადგილი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

# ბოტვინიკის შეხვედრა ჟურნალისტებთან

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიწვევით თბილისში ორიოდე დღეს იყო სტუმრად მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში, პროფესორი მ. ბოტვინიკი. გუშინწინ საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში ბოტვინიკის პრეს-კონფერენცია გამართა.



მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი შეხედულებები სპასკი — ფიშერის მიმდინარე მატჩის შესახებ. მისი აზრით, ფიშერის თამაშის ძლიერი მხარეა ვარიანტების გათვლის საოცარი უნარი, რითაც თავის დროზე გამოირჩეოდნენ ახალგაზრდა კაპაბლანკა და ტალი. ამიტომ სპასკის თამაშის ისეთი გეზი უნდა აერჩია, რომ ამერიკელ მოჭადრაკეს ეს უნარი ვერ გამოეყენებინა: უნდა ეთამაშა ღრმად პოზიციური პარტიები.

— დარწმუნებული ვარ, სპასკის მატჩ-რევანშის უფლება რომ ჰქონდეს, რევანშს აიღებდა, — განაცხადა ბოტვინიკმა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ფიდე-ს მუშაობაზეც ილაპარაკა, აღნიშნა მისი პრეზიდენტის მ. ეივეს შეცდომები და უხერხემლობა.

მერე სტუმარმა უპასუხა შეკითხვებზე. სხვათა შორის, მან თქვა, რომ ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (ბოტვინიკის აზრით, ფიშერი სძლევს სპასკის) 6 წლის მერე ჩამოართმევს საბჭოთა დიდოსტატი ა. კარპოვი, რომელიც ახლა 21 წლისაა. ბოტვინიკმა თქვა ისიც, რომ ჯერ ვერ აუხსნია, როგორ შეძლო ფიშერმა ტაიმანოვის, ლარსენისა და პეტროსიანის დამარცხება გამანადგურებელი ანგარიშით. სპასკისთან მისი პარტიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზემოდასახელებულ სამ დიდოსტატს ასე არ უნდა წაეგო. ახლა ყველამ დაინახა ფიშერის თამაშის ხარვეზები და მასთან თამაში მაინცდამაინც ძნელი არ უნდა იყოსო.

ბოტვინიკმა ღრმად გააანალიზა კრიტიკული პოზიცია XIX პარტიისა, რომელიც მისი აზრით, სპასკის უნდა მოეგო.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ბოტვინიკი პარტიის ანალიზის დროს.

ლ. ხერხეულიძის ფოტო.

# ფავორიტად არ მიაჩნდათ...

23 წლის მოსკოვის არმიელმა მუხარბი კირჟინოვმა ოლიმპიურ ფიცარნაგზე, მიუნჰენის ბაზრობის ერთ-ერთ პავილიონში, 30 აგვისტოს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სპორტსმენთა დაყოფა ფავორიტებად და ყველა დანარჩენად პირობითია. კირჟინოვის გამარჯვება მაინცდამაინც არავის სჯეროდა, თანაგუნდელებსაც კი, მერყეობდნენ: იქნებ ჯობდეს ეს წონა საერთოდ გამოვტოვოთ და სამაგიეროდ სხვა კატეგორიაში ერთბაშად ორი საიმედო კაცი გამოვიყვანოთო?

ასე იყო თუ ისე, კირჟინოვი დამაჯერებლად ასპარეზობდა ტიტულოვან მეტოქეებთან. ეს მან დაამტკიცა მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის მოპოვებული ოქროს მედლითაც და ორი მსოფლიო რეკორდითაც: აკვრაში (177,5 კგ) და სამჭიდში (460 კგ).

კირჟინოვი, რომელსაც გამარჯვება უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა, აშკარად ტკბებოდა თავისი დაკუნთული სხეულის ფარული ძალით, როცა თავს ზემოთ სარეკორდო ძალის იარაღი აჰკრა (ეს იარაღი კაუჩუკის შალითაშია ჩასმული, რის გამოც ხმაური ნაკლებია).

ჩემპიონის სამშობლოში, შორეული ადიღეს აულ კოშეხაბლში უკვე ეძინათ, როცა კირჟინოვს სანუკვარი ოქროს ჯილდოსთვის ბრძოლის გადამწყვეტი წუთები დაუდგა. კაცმა რომ თქვას, მას ერთი მეტოქე ჰყავდა: ევროპის ჩემპიონი, ბულგარელი მ. კუჩევი, რომელიც საბრძოლველად იყო განწყობილი. ისევე როგორც წინადღის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა მისმა თანაგუნდელმა ნ. ნურიკიანმა, მან მშვენივრად დაიწყო ტურნირი და აჭიმვაში თავისივე მსოფლიო რეკორდი დაამხო — 157,5 კგ-ს მოერია. მაგრამ უკვე ატაცის შემდეგ კირჟინოვმა სხვაობა 10 კგ-მდე შეამცირა, როცა ამ შეჯიბრებაში ყველაზე მძიმე შტანგა ასწია — 135 კგ. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ წინ უკვე მოსკოველი იყო, რომელიც წონით ცოტა ნაკლებია. აკვრაში კუჩევი 167,5 კგ-ზე შეჩერდა, ხოლო კირჟინოვმა 10 კგ-ით მეტი დაძლია. ბულგარელმა ძველი მსოფლიო რეკორდი გაიმეორა სამჭიდის ჯამში (450 კგ) და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

თავის წონითს კატეგორიაში ლიდერს — მოსკოველ ათლეტს შესანიშნავი პერსპექტივები აქვს შეჯიბრების ახალი ფორმულითაც, რომლის მიხედვითაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ეწყობა. აჭიმვაში შეჯიბრება აღარ ჩატარდება, ატაცმა და აკვრამ კი მას გამარჯვება მოუტანა. ამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონ ვ. სტოგოვსაც.

მაყურებლები გულთბილად მიესალმებოდნენ ჩემპიონს. კირჟინოვი მისმა თანაგუნდელებმა და ყოფილმა მეტოქეებმა რამდენიმეჯერ ჰაერში აისროლეს. გამარჯვებულს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონმა, ლეგენდარულმა პოლონელმა ძალოსანმა ვ. ბაშანოვსკიმ.

— აღტაცებული ვარ და გილოცავ, — ცოტა ნაღვლიანად უთხრა ჩემპიონმა, რომელიც ორი კვირის შემდეგ 37 წლისა შესრულდება. ამ საღამოს სარბიელზე ვერ ვიხილეთ ოდესღაც „რეკორდების რისხვა". ბაშანოვსკი მეოთხე იყო (435 კგ), წინ გაუშვა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, თანამემამულე ზ. კაჩმარეკიც, რომელიც მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ ასპარეზობდა.

საბჭოთა ძალოსნებმა ნაბიჯი წინ გადადგეს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია XX ოლიმპიადის მძაფრი მეტოქეობის პირობებში. თანაგუნდელებისთვის კირჟინოვის წარმატება აღმაფრთოვანებელი მაგალითი იქნება.

ი. ხრომოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

მიუნჰენი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საპატიო კვარცხლბეკზე დგანან (მარცხნიდან) მ. კუჩევი, მ. კირჟინოვი და ზ. კაჩმარეკი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).



# სკოპლე მოჭადრაკეებს უმასპინძლებს

**19 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე იუგოსლავიის ქალაქი სკოპლე ვაჟთა XX და ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადებს უმასპინძლებს. ამ საპასუხისმგებლო ტურნირისთვის მზადებას საბჭოთა მოჭადრაკეები შეუდგნენ მოსკოვის მახლობელ აგარაკ კრასნაია პახრაში.**

**„ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა საბჭოთა ქვეყნის ქალთა გუნდის ლიდერს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს, რომელიც ორიოდე დღის წინ შეკრებაზე გაემგზავრა.**

— ოლიმპიადა მოჭადრაკეთა ჭეშმარიტი ზეიმია. ვაჟები თავიანთ ოლიმპიადებს 1927 წლიდან ატარებენ, ქალები კი მხოლოდ 1957 წლიდან. სკოპლეში ჩვენი ოლიმპიადები პირველად გაიმართება ერთად, — გვიამბობს ნონა. — ვაჟთა ოლიმპიადა ყოველ მეორე, ქალებისა კი ყოველ მესამე წელიწადს ეწყობა. ვაჟთა შორის გამარჯვებულ გუნდს აჯილდოებენ ინგლისელი საზოგადო მოღვაწის ჰამილტონ-რასელის გარდამავალი თასით, ქალთა ოლიმპიურ ჩემპიონს ვერა მენჩიკის სახელობის თასს, ხოლო თითოეულ მონაწილეს ოქროს მედალს გადასცემენ. სხვათა შორის, თითოეული გუნდის შემადგენლობა რიცხობრივად ერთობ მცირეა, რაც ჩემპიონობისთვის ბრძოლას ძალიან აძნელებს. თავად განსაჯეთ: ვაჟთა გუნდში ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო მოთამაშეა, ქალთა გუნდში — ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო. საკმარისია ერთი შეფერხება, რომ ფინიშზე პირველი ველარ მიხვიდე.

ქალთა I ოლიმპიადა ჰოლანდიის ქალაქ ემენში გაიმართა. ჩემპიონის სახელი საბჭოთა გუნდმა მოიხვეჭა. გუნდში იყვნენ იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ოლგა რუბცოვა და კირა ზვორიკინა. მაშინ სათადარიგო მოთამაშე არ ჰყავდათ.

II ოლიმპიადა 1963 წელს იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში შედგა. გუნდში ტატიანა ზატულოვსკაია, მე და სათადარიგო მოთამაშე ზვორიკინა ვიყავით. ვაჯობეთ 14 გუნდს და მენჩიკის სახელობის თასზე მეორედ ამოიკვეთა — „სსრ კავშირი".

1966 წელს III ოლიმპიადა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში ჩატარდა. აქაც დიდი ბრძოლა გვქონდა, მაგრამ ჩემპიონობა არავის დავუთმეთ. გუნდში ვთამაშობდით ალა კუშნირი, მე და სათადარიგო წევრი ზატულოვსკაია.

კიდევ უფრო მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი პოლონეთის ქალაქ ლიუბლინში 1969 წლის შემოდგომაზე. ჩვენი გუნდი საკმაოდ ძლიერი იყო: კუშნირი, მე და სათადარიგო — ნანა ალექსანდრია. სამივემ წარმატებით ვითამაშეთ და ოლიმპიური ჩემპიონის თასი მეოთხედ მოვიპოვეთ.

V ოლიმპიადას სკოპლე უმასპინძლებს. ამ ქალაქმა ათიოდე წლის წინათ დიდი მიწისძვრა გადაიტანა. მეგობრების დახმარებით სკოპლე წელში გასწორდა. მისი მასპინძლობა სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენელთათვის ტრადიციად იქცა. ჩვენთვის სკოპლელებმა ახალი სასტუმრო ააგეს, სათამაშო დარბაზიც კეთილმოაწყვეს. გამოსაცემად ამზადებენ სათანადო ლიტერატურას. ოლიმპიადის ემბლემისთვის საგანგებო კონკურსიც კი გამართეს.

ოლიმპიადის დღეებში სკოპლეში იმუშავებს ფიდე-ს 42-ე კონგრესი, რომლის სხდომებში მონაწილეობა მეც მომიწევს, როგორც ფიდე-ს ბიუროს წევრს.

ვაჟთა ოლიმპიადას, რა თქმა უნდა, უფრო დიდი წარსული აქვს. მასში საბჭოთა მოჭადრაკეები მხოლოდ 1952 წლიდან მონაწილეობენ. გასაკვირიც არ არის, რომ მუდამ ჩემპიონები არიან. თითქმის ყველა გამოჩენილ საბჭოთა დიდოსტატს დაუცავს ამ შეჯიბრებაში თავისი ქვეყნის ჭადრაკის ღირსება.

გაინტერესებთ საბჭოთა გუნდების შემადგენლობა? ქალთა გუნდში არიან გაფრინდაშვილი, კუშნირი და სსრ კავშირის ჩემპიონი, 18 წლის ოსტატი ირინა ლევიტინა. ვაჟთა გუნდის მთლიანი შემადგენლობა არ ვიცი, მაგრამ წინასწარ განაცხადში იყვნენ სპასკი, პეტროსიანი, კორჩნოი, სსრ კავშირის ჩემპიონი სავონი, ახალგაზრდა დიდოსტატი კარპოვი და სხვები.

როგორც შევიტყვე, ოლიმპიადაში სპასკი და ფიშერიც ითამაშებენ. ოღონდ ფიშერს უთხოვია, თამაშს ფინალური ტურნირიდან დავიწყებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

## მატჩი გადაიტანეს

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის ჩემპიონატში მოქსჯარეზე უმაღლესი ლიგის გუნდების — მოსკოვის „სპარტაკისა" და დონის როსტოვის ასკ-ს მატჩი, რომელიც 3 სექტემბერს უნდა გამართულიყო, გადატანილია 7 სექტემბრისთვის.

## ერთმა გოლმა გადაწყვიტა

II ლიგა III ზონა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 30 აგვისტო.

„გურია" (ლანჩხუთი)—„დინამო" (ბათუმი) 0:1 (0:0).

„გურია": იმედაძე, ელიზბარიშვილი, ქირია, შავდია, ნიკოლაიშვილი, აბაიშვილი (ცილაძე), ჯორბენაძე, რ. ჩხარტიშვილი (ხოფერია), ძიძიგური, კვიტაიშვილი, სიხარულიძე.

„დინამო": პავლოვი, ხიზანიშვილი, ქორიძე, სირბილაძე, გაგუა, წივწივაძე, თ. ცხებუა, ი. ცხებუა, ვ. ჩხარტიშვილი, ქიქავა (ილურიძე), გუჯაბიძე.

მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

თუ რატომ შედგა II ლიგის III ზონის გუნდების ეს მატჩი თბილისში, ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან. წინა ტურის კალენდარული მატჩის ჩატარებისას ლანჩხუთის სტადიონზე მოხდა დაუშვებელი უმსგავსოებანი, ხულიგანთა ჯგუფმა უტიფრად დაარღვია სტუმარ-მასპინძლობის წესები და ამის გამო „გურიის" ფეხბურთელები იძულებული არიან სტუმრად ითამაშონ ის მატჩები, რომლებიც მათ კალენდრის მიხედვით შინ უნდა ჩაეტარებინათ. ასე გაუწიეს თავიანთ გუნდს დათვური სამსახური ვაი-მაყურებლებმა.

მატჩის დასაწყისი გარკვეული სიფრთხილით აღინიშნა. შეიძლება ითქვას, ბათუმელებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, რასაც „გურიის" თავდამსხმელები მოულოდნელი კონტრშეტევებით უპასუხებდნენ. მაგრამ ტაიმმა ისე განვლო, რომ კარში თითქმის არავის დაურტყამს და თუ მეკარეებს ქავლოვსა და იმედაძეს ხანგამოშვებით მაინც უხდებოდათ თამაშში ჩაბმა, ეს ხდებოდა საჯარიმო მოედანზე გამოსვლით და არა კარში დარტყმული ბურთის მოგერიებით.

შესვენების შემდეგ ბრძოლა გაცილებით დაიძაბა. დინამოელებმა ტემპს უმატეს, სახიფათო მომენტები შექმნეს ვ. ჩხარტიშვილმა, ჯორბენაძემ. ერთხელ „გურიის" კარი გუჯაბიძის დარტყმის შემდეგ ძელმა გადაარჩინა.

გააქტიურდნენ ლანჩხუთელებიც და ბათუმელთა დაცვაში დიდი ჯაფა დააწვათ სტოპერებს, განსაკუთრებით, ქორიძეს.

მატჩის ბედი გადაწყდა 35-ე წუთზე, როცა ხანგრძლივი შეტევის შემდეგ ვ. ჩხარტიშვილმა ზუსტად დაარტყა საკმაოდ შორიდან და იმედაძე ვერ მიწვდა ბურთს.

დარჩენილ დროში ლანჩხუთელები ბევრს ეცადნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ წაგებას მაინც ვერ დააღწიეს თავი.

**რ. ქორიძე.**

აქვე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დილა" (გორი) 4:1, „დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:1, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 3:1, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 6:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 1:1.

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი

II ზონა

მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 21 | 15 | 2 | 4 | 41—13 | 32 |
| „მადაროელი" (ჭიათურა) | 20 | 14 | 4 | 2 | 39—13 | 32 |
| „განათლება" (ადიგენი) | 21 | 13 | 1 | 7 | 32—25 | 27 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 21 | 11 | 3 | 7 | 44—29 | 25 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 20 | 8 | 8 | 4 | 34—20 | 24 |
| „კომეტა" (ფოთი) | 20 | 9 | 6 | 5 | 37—29 | 24 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 21 | 9 | 3 | 9 | 36—30 | 21 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 20 | 8 | 5 | 7 | 23—22 | 21 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 21 | 8 | 5 | 8 | 30—30 | 21 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 20 | 6 | 6 | 8 | 36—28 | 18 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 19 | 6 | 5 | 8 | 25—29 | 17 |
| „განთიადი" (აბაშა) | 21 | 7 | 3 | 11 | 20—34 | 17 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 19 | 6 | 2 | 11 | 25—35 | 14 |
| „მზიური" (გალი) | 20 | 4 | 5 | 11 | 16—33 | 13 |
| ხდკ (სამტრედია) | 19 | 4 | 4 | 11 | 26—48 | 12 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 20 | 2 | 2 | 16 | 21—66 | 6 |

## ჩვენი გუნდები ლიდერობენ

სხვადასხვა ქალაქში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრებები.

კამენსკ-შახტინსკში თბილისის ახალგაზრდულმა საფეხბურთო სკოლის გუნდმა მესამე მატჩი მოიგო: ამჯერად ანგარიშით 4:1 დამარცხა გორკის გუნდი. ახლა ჩვენებს 6 ქულა აქვთ 6-დან! მათ 1 ქულით ჩამორჩება ერევნის „არარატი".

ორიოლში თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლია მასპინძელთა კოლექტივს (1:0) და მასაც 6 შესაძლებლიდან მაქსიმუმი აქვს. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება უჟგოროდის გუნდი.

## ტურისტები კმაყოფილი არიან

მოლივლივე ზღვის სანაპიროზე ჩამწკრივებული კოტეჯები მინიატურული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. ესაა ჩაქვის ტურისტული ბაზა. აქ ყველაფერი ლამაზი და მომხიბვლელია. მწვანეში ჩაფლული სანახები ზღვისა და ყვავილების დამათრობელი სურნელითაა გაჟღენთილი.

ჩამოსულთა განკარგულებაშია ტურისტული კაბინეტი, კლუბი, ბიბლიოთეკა, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

დილით ადრე იღვიძებს ტურბაზა და იწყება კიდევ ერთი ხალისიანი დღე: დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ზღვაში ბანაობა, სპორტული შეჯიბრებები.

— ყურადღება!—ლაპარაკობს ჩაქვის ტურბაზის რადიოკვანძი.

მთავარი ინსტრუქტორი ს. ცინცაძე ექსკურსიებისა და ლაშქრობების მარშრუტებს აცნობს ტურისტებს. ისინი კმაყოფილი არიან: დღეს ხომ კიდევ ბევრ საინტერესოს ნახავენ. ტურისტები ექსკურსიებსა და ლაშქრობებს აწყობენ ბათუმში, ქობულეთში, ციხისძირში, მწვანე კონცხზე.

მოსკოველი თუ ლენინგრადელი, სვერდლოვსკელი თუ ჩელიაბინსკელი სტუმრები კმაყოფილი არიან აქ გატარებული დღეებით. ამაზე ნათლად მეტყველებს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილი ბევრი გულთბილი სიტყვა.

**ო. მურვანიძე.**

(ჩვენი კორ.).

ჩაქვი.

## ორი ბურთი „კოსმოსის" კარში

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნე მოსკოვის „დინამომ" ადგილობრივ „კოსმოსთან" შეხვედრით დაამთავრა. ეს თამაში ნიუ-იორკის მახლობლად მდებარე ქალაქ ჰემსტედში გაიმართა და სტუმართა გამარჯვებით აღინიშნა — 2:1.

ანგარიში მე-11 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს კოჟემიაკინმა თანაფარდობა აღადგინა. შესვენების შემდეგ კოზლოვმა „კოსმოსის" კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანა.

19 45

◆ მონრეალი, 31 აგვისტო. კანადის რადიომ და ტელევიზიამ სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების დღეს აქ ჩამოსვლა დიდი ამბით გადმოსცეს. აეროპორტში საბჭოთა სპორტსმენებს დახვდნენ ორგანიზაცია „ჰოკეი-კანადის" ხელმძღვანელები, ჟურნალისტები. სტუმრებმა უკვე ივარჯიშეს ადგილობრივი სპორტის სასახლე „ფორუმის" ყინულზე.

## ზეიმით აღნიშნეს მეშახტის დღე

გასულ კვირას ტყიბულის „განთიადის" სპორტულ ბაზებზე დიდი ფიზკულტურული დღესასწაული მოეწყო, რომელიც მეშახტის დღეს მიეძღვნა. ამ ზეიმზე ტყიბულელი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა შრომის ახალი კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა. გაიმართა ამხანაგური შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ტყვიის სროლაში...

სპორტული ზეიმის ბოლოს ტყიბულის სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე ადგილობრივ „მეშახტესა" და ზუგდიდის „დინამოს" შორის.

**ზ. ჯორჯაძე.**

(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

## სამატჩო შეხვედრები

ქალაქის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ამხანაგური სამატჩო შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ფრენბურთელთა შეხვედრებში საუკეთესო მომზადება გამოავლინეს შირაქელმა სპორტსმენებმა და I ადგილიც დაისაკუთრეს.

კალათბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა არბოშიკის გუნდმა, ფეხბურთში კი I ადგილზე წითელი წყაროს „ვარსკვლავი".

მოჭადრაკეთა ტურნირში დიდი უპირატესობით დაწინაურდა წითელი წყაროს პირველი ნაკრები (გ. მერულაშვილი, ა. ბილიაშვილი, ლ. პოპიაშვილი, ა. გონაშვილი და რ. ჯავახიშვილი). მან საბოლოოდ 23,5 ქულა მოაგროვა და პირველობაც დაისაკუთრა.

მაგიდის ჩოგბურთელთა შორის ყველას აჯობა ი. ნატროშვილმა. II ადგილზეა ქ. ლორაშვილი, III — ვ. ზედელაშვილი.

**უ. ჭეარუაშვილი.**

(ჩვენი კორ.).

წითელი წყარო.

## დიდი ტურნირების სეზონი

ჰოკეის სეზონი წლეულს ადრე დაიწყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოვის არმიელებმა ჯერ კიდევ აგვისტოს დამდეგს ბერლინში მოიგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ვაისვასერის „დინამოსთან" — 11:1. გასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა — მოსკოვის დინამოელებმა I ადგილი დაიკავეს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აგრეთვე გდრ-ის დედაქალაქში გაიმართა. სპარტაკელებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის გასულ ჩემპიონატში მესამენი იყვნენ, წარმატებით იასპარეზეს გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და ავსტრიის ყინულის მოედნებზე, ორი თასი მოიპოვეს და არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

აგვისტოს შუა რიცხვებში მოსკოვის, ლენინგრადის, რიგისა და ჩელიაბინსკის საციგურაოებზე მეთხუთმეტედ დაიწყო გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშება. ტურნირმა თავი მოუყარა ოც გუნდს სსრ კავშირიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, შვედეთიდან, ფინეთიდან, გფრ-იდან, პოლონეთიდან, გდრ-იდან და რუმინეთიდან. ამ ხანაფხულო მატჩებში მწვრთნელები ძირითადი შემადგენლობის საუკეთესო ვარიანტებს ეძებენ. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები ვ. ბობროვი და ბ. კულაგინი ამოწმებდნენ კანდიდატებს, რომლებიც 2 სექტემბერს კანადის პროფესიონალებთან დაიწყებენ შეხვედრებს: 2, 4, 6 და 8 სექტემბერს სსრ კავშირის ნაკრები ოთხ მატჩს ჩაატარებს კანადის ნაკრებთან მონრეალში, ტორონტოში, ვინიპეგსა და ვანკუვერში, ხოლო 22, 24, 26 და 28 სექტემბერს კანადელები ლუჟნიკში გამოვლენ.

საბჭოთა ოსტატები ჰოკეის სამშობლოს პირველად 1957 წელს ეწვივნენ. მოსკოვის კლუბების ნაკრებმა მაშინ რვა მატჩი ჩაატარა საუკეთესო სამოყვარულო კლუბებთან. დასაწყისი ძნელი იყო: ტორონტოში მოსკოველებმა ანგარიშით 2:7 წააგეს „უიტბი დანლოპსთან", რომელიც შემდეგ ზამთარში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მეორე მატჩი „ვინძორ სპიტფაიერსთან" ფრედ (5:5) დამთავრდა. მესამე შეხვედრაში კვლავ მარცხი — კორტინა დ'ამპეცოს ოლიმპიადაში გამარჯვებულ „კიტჩენერ ვატერლოო დატჩმენთან" — 2:4. სამაგიეროდ, შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოიპოვეს.

საბჭოთა ჰოკეის უდიდესი სარგებლობა მოუტანა კანადის სამოყვარულო გუნდებთან რეგულარულმა შეხვედრებმა. ამიტომ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ, როგორც უნდა დამთავრდეს სსრ კავშირისა და კანადის უძლიერეს ჰოკეისტთა ორთაბრძოლები, შედეგი, უდავოდ, ჰოკეისთვის სასარგებლო იქნება!

კანადის გუნდში გამოვა ყველა უძლიერესი ჰოკეისტი, რომლებიც აშშ-სა და კანადის ეროვნული ჰოკეის ლიგების საუკეთესო კლუბებში თამაშობენ. საკითხავია, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ბ. ორი, რომელსაც გაზაფხულზე მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, და ბ. ჰალი, რომელიც ეროვნული ჰოკეის ლიგის კონკურენტის — ჰოკეის ასოციაციის ლიგაში გადავიდა. მაგრამ მათს გარეშეც „ნეკერჩხლის ფოთლის" გუნდის მწვრთნელებს ჰ. სინდენსა და ჯ. ფერგიუსონს (ეს უკანასკნელი თავის დროზე, ცოტა არ იყოს, უხეშად თამაშობდა, ამიტომ შეარქვეს „მონრეალელი პოლიციელი") შესანიშნავი არჩევანი აქვთ დიდი ოსტატებისა. მეკარეები ჯ. ჩივერსი, ტ. ესპოზიტო, კ. დრაიდენი (წინათ იგი კანადის სამოყვარულო ნაკრების ღირსებას იცავდა), მცველები ბ. პარკი ბ. უაიტი, ჰ. სტეპლტონი, თავდამსხმელები ფ. ესპოზიტო ს. მიკიტა, ძმები მაჰოვლიჩები, რ. ზერენსონი და სხვ.

გაგაცნობთ საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელიც 30 აგვისტოს კანადაში გაფრინდა: მეკარეები ტრეტიაკი, ზინგერი, სიდელნიკოვი, „მინდვრის" მოთამაშეები რაგულინი — ციგანკოვი, ვიკულოვი — მალცევი — ხარლამოვი, გუსევი — კუზკინი, მიხაილოვი — პეტროვი — ბლინოვი, ლიაპკინი — პოლადიევი, ზიმინი — შადრინი — იაკუშევი, ლუტჩენკო — ვასილიევი, ანისინი — ბოდუნოვი — ლებედევი, აგრეთვე, თავდამსხმელები სოლოდუხინი, სტარშინოვი, მიშაკოვი.

2 ოქტომბერს სტარტს აიღებს საბჭოთა ქვეყნის XXIV ჩემპიონატი. ისევე როგორც შარშან, უმაღლეს ლიგაში 9 გუნდია: ცსკა, „დინამო", „სპარტაკი", „კრილია სოვეტოვი" (ყველა — მოსკოვი), „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი), ასკ (ლენინგრადი), „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი), „ტორპედო" (გორკი) და სვერდლოვსკის „ავტომობილისტი", რომელმაც შეცვალა „ა" კლასის I ჯგუფში გადასული მოსკოვის „ლოკომოტივი". მათ ოთხწრიანი ტურნირის ჩატარება მოუწევთ. IX ადგილზე გასული გუნდი უმაღლეს ლიგას დატოვებს, ხოლო მერვე გუნდი გადასასვლელ მატჩებს ჩაატარებს მეორე ეშელონის მეორე გუნდთან. ჩემპიონატი 30 აპრილს დამთავრდება.

სეზონი ძალიან საინტერესო იქნება. საკმარისია ითქვას, რომ მარტში ლენინგრადი ევროპის იუნიორთა ჩემპიონატს უმასპინძლებს, 31 მარტიდან 15 აპრილამდე კი მოსკოვში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება.

**ვ. დვორცოვი,**

საკდესის ჰოკეის მიმომხილველი.

* * *

კანადაში სსრ კავშირის ოთხივე მატჩი ცენტრალური ტელევიზიით გადმოიცემა. შეხვედრები მოსკოვის დროით გვიან ღამით იწყება, ამიტომ ტელეეკრანებზე ვიხილავთ მათს ჩანაწერებს დილის 10 საათზე 3, 5, 7 და 9 სექტემბერს.

რედაქტორი მ. ჭაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02637